ცვლილება ბრძანებაში

შინაარსი

▪ ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის თანხის დაბრუნების შესახებ

ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის თანხის დაბრუნების შესახებ

2025 წლის 24 ოქტომბერს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №277, რომლითაც ცვლილება შევიდა „ბიუჯეტების შემოსულობების აღრიცხვა-ანგარიშგებისა და ანგარიშსწორების განხორციელებისა და ბიუჯეტში ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი შემოსულობის თანხის დაბრუნების, აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის №916 ბრძანებაში. აღნიშნულის შედეგად განახლდა გადასახადის გადამხდელისთვის ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების საფუძვლები.

ცვლილების შედეგად №916 ბრძანების 13[4] მუხლის 1[2] პუნქტს დაემატა ახალი „ი“ ქვეპუნქტი, რომლითაც განისაზღვრა გადასახადის გადამხდელისთვის, მოთხოვნის შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის გათვალისწინებით, ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ახალი საფუძველი. კერძოდ, აღნიშნული ქვეპუნქტი განიხილავს ისეთ შემთხვევას, როდესაც გადასახადის გადამხდელს აქვს რამდენიმე საბანკო ანგარიში და ადგილი აქვს ამ საბანკო ანგარიშებიდან გადასახადის ან/და სანქციის (მათ შორის, საბაჟო სანქციის) თანხების განსაზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით ჩამოწერას საგადასახადო ორგანოს ერთი და იგივე საინკასო დავალებით. შედეგად, აღნიშნულ შემთხვევაში, გადასახადის

გადამხდელს მხოლოდ მოთხოვნის საფუძველზე, ამავე ბრძანებით განსაზღვრული დამატებითი დოკუმენტების წარდგენის გარეშე, შეუძლია მიმართოს საგადასახადო ორგანოს ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის თანხის დაბრუნების მიზნით.

ცვლილება ძალაშია 2025 წლის 25 ოქტომბრიდან.

ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიახლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა ეხება ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების საკითხს.

მარიამ ხუსკივაძე
MKhuskivadze@bdo.ge

მიხეილ ენუქიძე
MEnukidze@bdo.ge

▸ ვრცლად www.bdo.ge

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე.

გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის

განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

შპს ბიდიო საქართველო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის - "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.
ბიდიო არის საერთო სასაქონლო ნიშანი ბიდიოს ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისათვის.